დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის მიერ სასტუმრო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო ვასაძე
წევრები:
თამარ გიორგობიანი
ზაირა ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
----

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 208145283

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 24 ივნისის N MES 3 24 0000739580 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრები - თამარ გიორგობიანი და ზაირა ბერიძე დაევალა ვიზიტი სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლაში, მისამართი: (ქ. თბილისი, ნაკადულის ქუჩა N6). მიმდინარე წლის 02 და 03 ივლისს 2010 წლის 1 ოქტომბრის N№99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ)ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. პროგრამის განაცხადთან ერთად წარმოდგენილი იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 17 ივნისის #MES 7 24 0000682875 და 20 ივნისის MES 9 24 0000714411 კორესპოდენციები. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების საფუძველზე უკვე დარეგისტრირდა რიგი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები. თუმცა, ზოგიერთი მათგანის ძალაში შესვლა საჭიროებს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში ცვლილებას, რათა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
----

განსაზღვრული კვალიფიკაციები აისახოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორში. შესაბამისად, მხედველობაში იქნას მიღებული წარმოდგენილი პროგრამების პროექტები. ასევე წერილში ნათქვამია, რომ პროგრამისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის N 2-198 ბრძანებით (14.06.2024) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ პირებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, პედაგოგებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი-A გარემო, B-C გარემო,ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასტუმროს მომსახურება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.1.1.1 *ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2025 წლის 17 დეკემბრამდე, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და დაწესებულების სტრუქტურის ჩამოყალიბება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელება.*

4.1.1.2 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2025 წლის 17 დეკემბრამდე, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და დაწესებულების სტრუქტურის ჩამოყალიბება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელება.

2.2.1.1 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(2024 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით), დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით.

2.2.1.3 *ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(2024 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით), დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლების ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, საჭიროებისამებრ.*

2.2.1.5 *ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(2024 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით), დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების მოძიება.*

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.1. <u>რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობის შესრულებისას, კერძოდ, სტრუქტურის ცვლილების პროცესში გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართვის აუცილებლობა, რადგან სკოლის სტრუქტურა განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის #448 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის წესდების მესამე მუხლით.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.1.2.1 რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს შინაგანაწესის ერთიანი დოკუმენტის შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე პროცესებს.

2.2.1.1. *ექსპერტთა მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციაა, პროგრამისთვის საჭირო ინვენტარის სწავლის დაწყებამდე, 15 სექტემბრამდე უზრუნველყოფა.*

რეკომენდებულია, დარგობრივი მოდულების რიგი შედეგების მისაღწევად, დაწესებულებამ ჩანიშნოს სასწავლო ვიზიტები შესაბამის ორგანიზაციებში, რათა სტუდენტებისათვის კიდევ უფრო ნათელი გახდეს სწავლის შედეგების მიღწევის დიაპაზონი.

2.2.1.2 *რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის მეტი მდგრადობისთვის განმახორციელებელ პირთა დამატებით მოძიება.*

2.2.1.3 რეკომენდებულია, ჩანაცვლდეს "სტუმართმასპინძლობის შესავლის" მოდულის ფარგლებში შერჩეული განმახორციელებელი, რადგან რიგი საკითხების კონპეტენცია არ უდასტურდება შერჩეულ პედაგოგს.

2.4.1.1 *რეკომენდებულია, სასწავლო გეგმა აიგოს ლოგიკური თანმიმდევრობით მოდულების შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.*

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 01 აგვისტოს MES 3 24 0000930794 კორესპოდენცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულებამ გაიზიარა დასკვნის პროექტში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები. შესაბამისად, დასკვნის პროექტში მოცემული შეფასებები დარჩა უცვლელად

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლას შემუშავებული ჰქონდა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებული იყო სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 30 მაისის #3 ოქმით(ძალადაკარგულად გამოცხადდა აღნიშნული დოკუმენტი; დამტკიცდა ახალი მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 ივლისის #2-281 ბრძანებით) აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე დაიწყო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტზე მუშაობა. სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის #2-173 ბრძანებით შეიქმნა სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გადახედვის და ცვლილებების შეტანის მიზნით სამუშაო ჯგუფი. სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 14 ივნისის #6 ოქმით დამტკიცებული აქვს სკოლის ახალი მისიის,ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი, რაც განაპირობა დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ. ვიზიტისას დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა განახლებული სკოლის მისია- სკოლაში შევქმნათ ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური გარემო; დავნერგოთ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამები რათა, თანასწორობის და თანამშრომლობის პრინციპების დაცვით, თითოეულ მოსწავლეს და პროფესიულ სტუდენტს შეეძლოს განსხვავებული აზრისა და კულტურის პატივისცემა, წარმატების მიღწევა, შეუზღუდავ და მრავალფეროვან საგანმანათლებლო სივრცეში თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა-შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისიიდან ჩანს, რომ იგი ახორციელებს როგორც ზოგად ისე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. როგორც მისიიდან ირკვევა, სკოლა ქმნის ერთიან სივრცეს, სადაც პირს შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს როგორც სრული ზოგადი, ისე პროფესიული განათლება ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოში, სადაც თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენის შესაძლებლობა მიეცემა თითოეულ მოსწავლესა და პროფესიულ სტუდენტს. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. როგორც სკოლის მისიიდან ჩანს, დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც ასახულია სკოლის ხედვაში და დაწესებულება გეგმავს პროფესიულ სტუდენტებს შესთავაზოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესწავლა და პროფესიის დაუფლება. დაწესებულება თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით: გუნდური მუშაობა, რომელიც თავის თავში გულისხმობს კათედრებს შორის თანამშრომლობას და თემის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, ინოვაცია - სწავლა სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდების დანერგვასა და ტექნოლოგიების გაძლიერებულ გამოყენებას, ასევე, სკოლა ღიაა დაინტერესებულ მხარეებთან სათანმშრომლოდ დაწესებულება ორიენტირებულია იმაზე, რომ თემის თითოეულ წევრს ჰქონდეს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები. დაწესებულების ხედვა და ღირებულებები განსაზღვრულია დაწესებულების მისიიდან გამომდინარე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულების მისია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს მას. მისიის, ხედვის და ღირებულებების განახლებული დოკუმენტი განხილულ იქნა ამავე სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 14 ივნისის #7 ოქმით. ცვლილებები გაზიარებულ და დამტკიცებულ იქნა ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 14 ივნისის #6 ოქმით. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის განახლებული მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტის გაზიარება მოხდა დამრიგებლების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე და სოციალურ ქსელში. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 ივლისის #2-281 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მეექვსე მუხლით განსაზღვრულია სკოლის მიერ დოკუმენტების გაზიარების მექანიზმები, რომლის თანახმადაც დაწესებულება იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს: ვებგვერდს, ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ მედიას, პირისპირ შეხვედრებს და ა.შ. დაწესებულებას ასევე სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 მაისის #2-173 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგიები, რითაც რეგულირდება დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებით(2024 წლის 06 ივნისი, #2-173);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ სამუშაო ჯგუფის ოქმებით;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს ოქმით;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმით;
- ✓ სკოლის ვებგვერდით;
- ✓ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით;
- ✓ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგიების დოკუმენტით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯაროს სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 2-185 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის პოლიტიკა“. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომელიც დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის #2-186 ბრძანებით. დებულება არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების, სტატუსის შეჩერების, სტატუსის შეწყვეტისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის წესებსა და პირობებს. აგრეთვე, მიღებული განათლების აღიარების, შიდა და გარე მობილობის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების წესსა და პროცედურებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციები წინააღმდეგობაში არ მოდის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 14 ივნისის #6 ოქმით დამტკიცებულ შინაგანაწესთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ორი შინაგანაწესი და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მოქმედებს ცალკე შინაგანაწესი. სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს ერთიანი მიდგომა.

დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს შორის ურთიერთობა რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე. დაწესებულებას სტუდენტთან დასადები ხელშეკრულების ფორმა დამტკიცებული აქვს სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის #2-196 ბრძანებით. აღნიშნული ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად, სტუდენტი ადასტურებს, რომ გაეცნო სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, სკოლის წესდებას, შინაგანაწესს და სხვა სამართლებრივ აქტებს, რომელიც განსაზღვრავს მის უფლებებს და მოვალეობებს. სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯაროს სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 2-185 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის 35-ე მუხლი არეგულირებს სტუდენტთა მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული მუხლის საფუძველზე პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ხდება როგორც სასწავლო პროცესის დაწყებამდე, ასევე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს სტუდენტებთან ინდივიდუალური, ჯგუფური ან გაერთიანებული შეხვედრების ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებისამებრ. აღნიშნულის საფუძველზე, დასტურდება, რომ დაწესებულებაში არსებული რეგულაციები იძლევა შესაძლებლობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროფესიული სტუდენტები იცნობდნენ და იყენებდნენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის #2-186 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომლის 47-ე მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული მუხლის საფუძველზე დაწესებულება ახორციელებს სტუდენტისთვის როგორც შუალედური, ისე საბოლოო შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ამავე მუხლით რეგულირდება შეფასების შედეგების გასაჩივრებასთან დაკავშირებული საკითხები. არსებული მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებას სტუდენტთან დასადები ხელშეკრულების ფორმა დამტკიცებული აქვს სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის #2-196 ბრძანებით. ხელშეკრულება შედგენილია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესების და უფლებების დაცვის მექანიზმებს. სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის #2-186 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 28-ე მუხლი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების დადების წესს. აღნიშნულის საფუძველზე, სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს შორის ხელშეკრულებას ხელს აწერენ დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, არასრულწლოვანი ან სსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის #2-186 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 71-ე მუხლი არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის პროექტს პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად, პროფესიული სტუდენტის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობით. დებულების თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი განხილული და შეთანხმებული უნდა იქნეს პროფესიულ სტუდენტთან, რომლისთვისაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან მის კანონიერ წარმომადგენელთან; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი, პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების მტკიცებულებასთან ერთად, დასამტკიცებლად წარედგინება დირექტორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის პოლიტიკით;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით;
- ✓ სტუდენტთან დასადები ხელშეკრულების ფორმით;
- ✓ შინაგანაწესით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ და პროგრამის განმახორციელებლ პირთა სამუშაო აღწერილობისა და კვალიფიკაციის დოკუმენტი (დამტკიცებულია 14.06.2024 წ სკოლის დირექტორის N2-192 ბრძანებით) ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ აღნიშნულ ფუნქციას ითავსებენ სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლები, რომლებსაც აქვთ სხვა ფუნქცია-მოვალეობებიც. შესაბამისად, მიზანშეწონილია პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, დაწესებულებას ჰყავდეს სხვა ადმინისტრაციული თანამშრომლები. დაწესებულებას თვითშეფასების განაცხადში აღნიშნული აქვს, რომ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. შესაბამისად, სკოლის დირექტორის N 2-198 (14.06.2024) ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლა გეგმავს პერსონალის მოძიებას და ორგანიზაციული სტრუქტურის განახლებას, რომლის შესრულების ინდიკატორადაც განსაზღვრული აქვს განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა და სამუშაო აღწერილობები. აღნიშნული ცვლილებების განხორციელებას დაწესებულება გეგმავს 18 თვის ვადაში საკუთარი რესურსით გარე პირების ჩართვის გარეშე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივად არის შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2025 წლის 17 დეკემბრამდე, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და დაწესებულების სტრუქტურის ჩამოყალიბება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელება.

<u>ექსპერტთა განმავითარებელი რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობის შესრულებისას, კერძოდ, სტრუქტურის ცვლილების პროცესში გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართვის აუცილებლობა, რადგან სკოლის სტრუქტურა განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის #448 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის წესდების მესამე მუხლით.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-192 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ და პროგრამის განმახორციელებელ პირთა სამუშაო აღწერილობისა და კვალიფიკაციის დოკუმენტი, რომელშიც თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდ არის გაწერილი. თუმცა როგორც დაწესებულება აღნიშნავს თვითშეფასების განაცხადში, აღნიშნულ დოკუმეტში გაწერილია მხოლოდ იმ პირების სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ვინც ამ ეტაპზე ჰყავს დაწესებულებას პროფესიული პროგრამების ადმინისტრირების განხორციელების პროცესში ჩართული. აღნიშნულ პირებს მოვალეობები დაევალათ სკოლის დირექტორის ბრძანებით, დაწესებულებამ მათთან გააფორმა შეთანხმება, რითაც დასტურდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებს შეითავსებენ სკოლაში სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირები. დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. შესაბამისად, სკოლის დირექტორის N 2-198 (14.06.2024) ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. შესაბამისობის გეგმით სკოლა გეგმავს პერსონალის მოძიებას და ორგანიზაციული სტრუქტურის განახლებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2025 წლის 17 დეკემბრამდე, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და დაწესებულების სტრუქტურის ჩამოყალიბება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელება.

3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-192 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ და პროგრამის განმახორციელებელ პირთა სამუშაო აღწერილობისა და კვალიფიკაციის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები და რომლის შესაბამისად არის დაკომპლექტებული ადმინისტრაციული პერსონალი. დაწესებულებას საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრული აქვს მინიმალური განათლების დონე, რიგ შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა, პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისია პოზიციების და განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების. ყველა პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დაწესებულების სტრუქტურით;
- ✓ სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- ✓ პირადი საქმეებით;
- ✓ თანამშრომლებთან გაფორმებული შეთანხმებებით და შრომითი ხელშეკრულებებით;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით.

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 14 ივნისის ბრძანება N 2-191 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსის მართვისა და პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება პერსონალის მოზიდვა; პერსონალის შერჩევა; პერსონალის დანიშვნა; ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან და მათი ეფექტურად ჩართვა სამუშაო პროცესში; პერსონალის შეფასება; პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი; პერსონალის პროფესიული განვითარება ; პერსონალის წახალისება მათ შორის პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება; პერსონალის განთავისუფლება და სხვა. დაწესებულებას ცალკე აქვს ასევე შინაგანაწესი პროფესიული განათლების მართვისთვის, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წინააღმდეგობაში არ მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და შრომით ხელშეკრულებასთან ერთად არეგულირებს თანამშრომლებთან ურთიერთობის საკითხს. სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს ერთიანო დოკუმენტი. აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც რომ პროგრამის ადმინისტრირების პროცესში ჩართულ პირებთან გაფორმებულია შეთანხმებები, აღნიშნულ შეთანხმებებზე ხელმოწერით დასაქმებული პირები ადასტურებენ პროფესიული განათლების მიმართულებით შემუშავებული შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. პროფესიული განათლების ადმინისტრირებაში დაწესებულებაში არსებული მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას პერსონალის მართვის პროცესები განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა განმავითარებელი რეკომენდაციაა, დაწესებულებამ უზრუნველყოს შინაგანაწესის ერთიანი დოკუმენტის შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე პროცესებს.

2. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რეგულირდება კონკურსის ვადები, საკონკურსო კომისია და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებას სამუშაო აღწერილობებში განსაზღვრულია აქვს ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი თითოეულ პოზიციაზე. შესაბამისად, დადგენილი პირობები უზრუნველყოფს კონკურსის ობიექტურობას. სკოლის დირექტორის 14 ივნისის ბრძანება N 2-191 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად. კონკურსში მონაწილეობის მიღების თანაბარი შესაძლებლობა ეძლევათ როგორც სკოლის თანამშრომლებს ისე გარე პირებს. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა კადრი შეირჩეს თანამშრომლებს შორის გარე კონკურსის გამოცხადების გარეშე. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-192 ბრძანებით დამტკიცებულია დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ და პროგრამის განმახორციელებელ პირთა სამუშაო აღწერილობისა და კვალიფიკაციის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები და რომლის შესაბამისად არის დაკომპლექტებული ადმინისტრაციული პერსონალი. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები და პირადი საქმეები. თითოეული დასაქმებული პირი აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს,რაც საკვალიფიკაციო მოთხოვნებით არის განსაზღვრული, რასაც ადასტურებს მათი კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. **ექსპერტთა შეფასებით, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4. სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლაში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მარეგულირებელი დოკუმენტები. დაწესებულების მიერ გაწერილი მექანიზმებით უზრუნველყოფილია დასაქმებულთა ჩართულობა სხვადასხვა პროცესში: პროგრამის შემუშავების, ინიცირების, კვალიფიკაციის ამაღლებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით კოლეჯის ფუნქციონირება ემყარება გუნდური მუშაობის პრინციპებს და მოვალეობებიც დელეგირებულია მართვის პროცესში. კოლეჯის თანამშრომლებთან ინეტერვიუბმაც დაადასტურა, რომ ისინი ჩართულები იყვნენ თავიანთი პოზიციიდან გამომდინარე სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტის გადამუშავების პროცესში. დაწესებულებაში ფუნქციონირებს კოლეგიალური ორგანო პედაგოგიური საბჭო, ასევე არსებობს სამეურვეო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია როგორც პედაგოგების, ისე მშობლების და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლისგან. შესაბამისად, მართვის და გადაწყვეტილებების არსებული მექანიზმი -პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ პროფესიული პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ✓ შინაგანაწესი;
- ✓ შრომითი ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ ინტერვიუ.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა).

პროგრამის სახელწოდება	სასტუმროს მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის ბრძანება N 2-195
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ქ. თბილისი, ნაკადულის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	132

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სტრატეგიას, ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობასთან დაკავშირებით, საქართველოს მასშტაბით 20 საჯარო სკოლა შეუერთდა, მათ შორისაა ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლა. ამ მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, სკოლის პედაგოგიური საბჭოსა (14.06.2024, N7) და სამეურვეო საბჭოს (14.06.2024, N6) გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა სკოლის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მისიასა და სტრატეგიულ გეგმაში აისახა პროფესიული განათლების კომპონენტი. შესაბამისად, სკოლის მისია შესაბამისობაში მოვიდა პროფესიული განათლების მიზნებთან. დაწესებულების მისია ითვალისწინებს შრომის ბაზარის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების განხორციელებას.

სკოლაში მოქმედი რეგულაციების თანახმად, სკოლის მიერ კონკრეტული პროგრამის შემუშავების პროცესი შედგება რამდენიმე ეტაპისაგან (პროგამის ინიცირება, სამუშაო ჯგუფის შექმნა, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობისა და სკოლის შესაძლებლობების შეფასება, პროგრამის შემუშავება და სხვა. პროგრამის განხორციელების თაობაზე ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მათ შორის: სკოლის დირექციას, ადმინისტრაციულ პერსონალს, პედაგოგიური ან სამეურვეო საბჭოს წევრს, პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, სკოლის პარტნიორებს და სხვა. პროგრამის ინიცირებისას, ინიციატორმა უნდა წარმოადგინოს მყარი არგუმენტი, თუ რატომ მიიჩნევს მიზანშეწონილად შერჩეული პროგრამის განხორციელებას. პროგრამის დაგეგმვის პირველ ეტაპზე, სამუშაო ჯგუფი განიხილავს დაწესებულებაში კონკრეტული პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას, აანალიზებს დაწესებულების შესაძლებლობას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით,ინფრასტრუქტურის მზაობას, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხს, მსგავსი მიმართულების პროგრამების განხორციელების გამოცდილებას. შესაბამისად, დაწესებულებამ შეაფასა ქვეყანაში არსებული ვითარება, ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები და საკუთარი შესაძლებლობები.

საქართველოსათვის პროფესიული განათლების ევროპულ სივრცესთან ინტეგრაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. საქართველომ უნდა შეძლოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც ამ ეტაპზე ადგილობრივ ბაზარზე შეძლებენ დასაქმებას. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში უნიშვნელოვანესია თანამედროვე ევროპული მიმართულებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება და ასახვა. მნიშვნელოვანია სკოლის მოსწავლეებს ადრეულ ასაკში ჰქონდეთ განვითარებული შრომითი უნარები და უფრო კარგად იცოდნენ, თუ რა შესაძლებლობები არსებობს პროფესიული განათლების მიმართულებით ქვეყანაში. სკოლის მიერ განხორციელდა პროფესიების და საჭიროებების იდენტიფიცირება, რომელიც სკოლის ადგილსამყოფელის არეალში არსებობს. პირველ ეტაპზე გამოიკვეთა, რომ ყველაზე დიდი მოთხოვნა მომსახურების სფეროს კადრებზეა. გასათვალისწინებელია, რომ ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია, რომელსაც განვითარების მაღალი პოტენციალი აქვს და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება დადებით ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის განვითარებაზე. აღნიშნული, თავის მხრივ, მოითხოვს ტურიზმის ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო გაზრდას, ტურიზმთან დაკავშირებული მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესებას და მცირე და საშუალო ზომის სასტუმროების და ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული სექტორის განვითარების მხარდასაჭერად, საჭიროა, მნიშვნელოვანი აქცენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადამიანური რესურსების გადამზადებასა და ტრენინგზე გაკეთდეს. კონკრეტულად, საქართველოს ესაჭიროება უფრო მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, რომელიც ბიზნესის საჭიროებებს უპასუხებს. ასეთ ვითარებაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კავშირს საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების სწავლის შედეგებსა და შრომის ბაზრის დაკვეთებს შორის, კერძოდ, შრომის ბაზრის აქტიურ მონაწილეობას პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების პროცესში. სკოლის კურსდამთავრებულთა 90% უმაღლეს განათლებას ირჩევს და როდესაც ეს სისტემა სკოლაშივე დაინერგება, სკოლის დამთავრებისთანავე ახალგაზრდას მიეცემა, როგორც სკოლის ატესტატი, ასევე, თუ ისინი პროფესიული განათლების მიმართულებას აირჩევენ, მიეცემა დიპლომი, რომელიც დაადასტურებს ერთ კონკრეტულ პროფესიაში მის მომზადებას. შესაბამისად, ახალგაზრდა სკოლის დამთავრებისთანავე იქნება მზად, რომ შევიდეს შრომის ბაზარზე ერთი მნიშვნელოვანი დათქმით – მას არასდროს არ ეკეტება კარი, რომ გააგრძელოს სწავლა პროფესიულ, თუ უმაღლეს სასწავლებელში. შესაბამისად განხორციელდა სკოლის მოსწავლეთა ინტერესების კვლევა და დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხრიდანაც ერთ-ერთი სასურველ პროფესიას შედგენს სასტუმროს მომსახურება, ვინაიდან სკოლის დასრულების შემდეგ მათ შესაძლებლობა ექნებათ ადვილად დასაქმდნენ მიღებული კვალიფიკაციით და სურვილის შემთხვევაში სწავლა გააგრძელონ უმაღლესებში და თავად გახდნენ საკუთარი სწავლის დამფინანსებლები. გარდა შიდა კვლევისა, დაწესებულება დაეყრდნო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ყოველწლიურ შრომის ბაზრის ანალიზს, სადაც განხილულია შრომის ბაზრის სტატისტიკა, დასაქმება სექტორულ ჭრილში, შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებული კვლევების მიმოხილვები და სხვ. აღნიშნული კვლევით ირკვევა, რომ ტურიზმის სექტორში ბოლო წლების განმავლობაში დასაქმების მაჩვენებლები მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2022 წელს სტუმარ-მასპინძლობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 37,336 პირი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11%-ით მეტია. აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა განაწილება რეგიონულ ჭრილში გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტი აქტივობა ძირითადად ორ რეგიონზე მოდის. დასაქმების ყველაზე მაღალი წილით გამოირჩევა თბილისი (59%), მას მოჰყვება აჭარა - 15%, ხოლო სხვა რეგიონების ცალკე აღებული ხვედრითი წილი არ აღემატება 5%-ს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „სასტუმრო მომსახურება“, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საშუალო განათლების 10 კლასის განათლება. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველჰყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველჰყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექტორის 14 ივნისის N2-193 ბრძანებით, დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის სასტუმრო მომსახურების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დებულება“, რომლის საფუძველზეც აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას სკოლა ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

1. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლებისმასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობას;
2. A სასწავლო გარემოს/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცის გამტარუნარიანობას;
3. B სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას;
4. C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას;
5. სპორტული დარბაზის გამტარუნარიანობას;
6. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამტარუნარიანობას

სასტუმრო მომსახურების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია შემდეგი საკლასო ოთახები: ერთი A/B გარემო, ერთი C გარემო, სპორტის ინტეგრირებული მოდული განხორციელდება სკოლის სპორტულ დარბაზში ან გარე სპორტულ მოედანზე. სკოლას ორი სპორტული მოედანი აქვს და შესაბამისად უზრუნველყოფს როგორც სკოლის მოსწავლეების, ასევე პროფესიული სტუდენტების გამტარუნარიანობას. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია გამოიყენება მოდულის მეცნიერება და ტექნოლოგიის განხორციელებისთვისაღნიშნული გარემოებები გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. შესაბამისად სკოლა შეძლებს ორ ცვლაში 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-195 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“, ძირითად დოკუმენტთან ერთად მოიცავს მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებო სტანდარტი „სასტუმრო მომსახურება“ , რომლის საფუძველზეც სკოლის მიერ შემუშავდა აღნიშნული პროგრამა, ითვალისწინებს ორ არჩევით მოდულს - საწარმოო პრაქტიკასა და პრაქტიკულ პროექტი სასტუმრო მომსახურებას. სკოლამ იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა იმიტირებულ სასწავლო გარემოში ხორციელდება, არჩევითი მოდულებიდან აირჩია პრაქტიკული პროექტი-სასტუმროს მომსახურება. აღნიშნული არჩევითი მოდული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. **აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ის ,,საჯარო სკოლის წესდების” მე-21 მუხლის, ამავე წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – სკოლის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ სკოლის მიერ შემუშავებულია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, „სასტუმრო მომსახურება“ საფუძველზე და სრულად თავსებადია პრგორამის სწავლის შედეგებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, პროგრამის შემუშავების საფუძველია: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი სასტუმრო მომსახურება/ Hotel Service, სარეგისტრაციო ნომერი 10.3.1. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხანგრძლივობა და სხვ. პროგრამის პაკეტი მოიცავს პროფესიულ, ინტეგრირებულ და ქართული ენის მოდულებს, სასწავლო გეგმას როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული მიდგომით, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს. გარდა ამისა, პროგრამა შემუშავების საფუძველია 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 14 ივნისის N7 ოქმი;

- ✓ სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 14 ივნისის N6 ოქმი;
- ✓ სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის მისია;
- ✓ სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 14 ივნისის სხდომაზე განხილული(N7 ოქმი) და სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 14 ივნისის სხდომაზე (N6 ოქმი) დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-186 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამების განხორციელების დებულება“;
- ✓ დირექტორის 14 ივნისის N2-193 ბრძანებით, დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის სასტუმრო მომსახურების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დებულება“;
- ✓ დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-195 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ის ,,საჯარო სკოლის წესდება”.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, პროგრამის "სასტუმრო მომსახურება" ფარგლებში, მოთხოვნილი კვოტა არის 30 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულება პირველად იწყებს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელებას, შესაბამისად ვიზიტის დროს არ იყო პროგრამის ფარგლებში პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის შეფასების შესაძლებლობა, კერძოდ: დაწესებულებას აქვს მზაობა და გეგმავს სწავლის შედეგების მიღწევისთვის სკოლაში მოაწყოს A/B და C ტიპის სასწავლო გარემოებები. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო აუდიტორიები, რომელიც საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს და ასევე, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვას, ვერ შეფასდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თუმცა, ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი საკლასო ოთახი, სადაც იგეგმება სარემონტო სამუშაოები და შესაბამისი აღჭურვა. გავეცანით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მიმდინარე წლის 14 ივნისს, სკოლის დირექტორის N 2-198 ბრძანებით, დამტკიცებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისობაში მოყვანის დრო, პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და რესურსები. ექსპერტების შეფასებით, აღნიშნული ინფორმაცია რელევანტურია მოცემულ დროში შესასრულებლად, თუმცა სარემოტო სამუშაოების შესრულება

უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 15 სექტემბრისა სწავლის დაწყებამდე, რაც ვიზიტის დროს არ იყო დაწყებული. გარდა ამისა, სასურველია აღჭურვილობის მოცემულ დრომდე შეძენა, რადგან რიგი დარგობრივი მოდულები სწავლის დაწყების პერიოდიდან იწყება სასწავლო გეგმის თანახმად, შესაბამისად სასურველია პროგრამისთვის საჭირო ინვენტარის დროული უზრუნველყოფა. გარდა ამისა, პროგრამით გათვალისწინებული C გარემოებები, რომელიც უნდა მოეწყოს სკოლის ბაზაზე, სწავლის შედეგების თანახმად უნდა ფარავდეს სასტუმროს სამ განყოფილებას, მიღება-განთავსების განყოფილება, კვებისა და სასმელების დეპარტამენტი და სამეურნეო სამსახური (ჰაუსქიფინგი), ამ სამი დეპარტამენტის მოწყობა იგეგმება ერთ საკლასო ოთახში, რომელიც არის მოცულობითი თუმცა რიგი შედეგების მიღწევა ვერ იქნება სრულად შესაძლებელი, შესაბამისად დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რომ ჩანიშნო მინიმუმ სასწავლო ვიზიტები შესაბამის ორგანიზაციებში, რათა სტუდენტებისათვის კიდევ უფრო ნათელი გახდეს სწავლის შედეგების მიღწევის დიაპაზონი. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს, A/B გარემოში დაწესებულების მიერ უკვე გამოყოფილი იყო სტუდენტების რაოდენობის შესაბამისი ნოუთბუქები, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ არ იყო შესყიდვები განხორციელებული, მათ შორის სასტუმროს მართვის ერთ-ერთი პროგრამის, შესაბამისად ჩვენი მხრიდან მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება ფაქტობრივი მდგომარეობა, ნოუთბუქების არსებობის, რომლის გამართულობა არ შემოწმებულა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეწტილად არის დაკმაყოფილებული.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(2024 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით), დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით.

ექსპერტთა მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციაა, პროგრამისთვის საჭირო ინვენტარის სწავლის დაწყებამდე, 15 სექტემბრამდე უზრუნველყოფა. ასევე რეკომენდებულია, დარგობრივი მოდულების რიგი შედეგების მისაღწევად, დაწესებულებამ ჩანიშნოს სასწავლო ვიზიტები შესაბამის ორგანიზაციებში, რათა სტუდენტებისათვის კიდევ უფრო ნათელი გახდეს სწავლის შედეგების მიღწევის დიაპაზონი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა დასაქმებულთა პირადი საქმეები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ვიზიტის დროს გვქონდა შეხვედრის და გასაუბრების საშუალება, როგორც დარგის პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებთან, ასევე ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში შერჩეულ განმახორციელებლებთან. აღსანიშნავია, რომ თითოეული მოდულის ფარგლებში გათვალისწინებულია თითო განმახორციელებელი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციაა, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის მეტი მდგრადობისთვის განმახორციელებელ პირთა დამატებით მოძიება.

3. სკოლის დირექტორის N2-192 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ და პროგრამის განმახორციელებლ პირთა სამუშაო აღწერილობისა და კვალიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, თუმცა რამდენიმე დარგის განმახორციელებელთან მიმაღტებით იყო რიგი უზუსტობები, მაგ: დარგობრივი მოდულების ფარგლებში შერჩეულ განმახორციელებელებს, სასურველია დაემატოს ერთი დარგის სპეციალისტი, როგორც მდგრადობის კუთხით, ასევე, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ შერჩეული დარგის პედაგოგი, რომელიც ასევე პროგრამის ხელმძღვანელად იყო წარმოდგენილი, გამოცდილებით (წარმოდგენილი დოკუმენტების ფარგლებში) და ასევე, გასაუბრებით ვერ ადასტურებს ყველა მოდულის დაფარვას, კერძოდ: მოდულების "სასტუმრო პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა", "სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა", პრაქტიკული პროექტი სასტუმრო მომსახურება", მიუხედავად დარგში დიდხნიანი გამოცდილებისა, რიგი საკითხები არ არის მისთვის შესაბამისი, რაც გულისხმობს დამატებით განმახორციელებლის შერჩევას. თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს დაწესებულებას უკვე ჰყავდა ერთი ახალი დარგის პედაგოგი წინარე ხელშეკრულებით აყვანილი, რომელის გამოცდილება შესაბამისია იმ მოდულებთან მიმართებით, რაც წინარე ინფორმაციით (გამოგზავნილი დოკუმენტებით) არ იყო გამართული, რაც დასტურდება წინარე ხელშეკრულებით და სკოლის დირექტორთან გასაუბრებით, დაწესებულებას მიეცა, ასევე რეკომენდაცია მოდულის "სტუმართმასპინძლობის შესავალი" ფარგლებში შერჩეული განმახორციელებლის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, რადგან რიგი საკითხების კონპეტენცია არ უდასტურდება შერჩეულ პედაგოგს, როგორც დოკუმენტებით ასევე, გასაუბრებით. აღსანიშნავია, რომ ამჟამად, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად შერჩეულ ყველა პირს არა აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. შესაბამისად, მათთვის, როგორც სკოლის შიდა რესურსით, ისე გარე რესურსებით (ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოს ჩართულობით) დაგეგმილია ტრენინგები, რითაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაეუფლებიან შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მიდგომებს. შესაბამისად სკოლაში დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N 2-198 ბრძანებით (14.06.2024) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(2024 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით), დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლების ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, საჭიროებისამებრ.

ექსპერტთა მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციაა, ჩანაცვლდეს "სტუმართმასპინძლობის შესავლის" მოდულის ფარგლებში შერჩეული განმახორციელებელი, რადგან რიგი საკითხების კონპეტენცია არ უდასტურდება შერჩეულ პედაგოგს.

4. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას განსაზღვრული ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს პროფესიული დიპლომი და რამდენიმე წლიანი სამუშაო გამოცდილება. მას აქვს შესაბამისი პროფესული განათლება და სასტუმროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, გარდა ამისა არის ტრენერი და იცნობს პროგრამას როგორც პროფესიული განათლების პედაგოგი, შესაბამისად მისი გამოცდილება და ჩართულობა სამომავლოდ პროგრამის განვითარების პროცესში დადებითად აისახება პროგრამის შემდგომ განვითარებაზე. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. ვიზიტის დროს, დაწესებულებამ გაგვიზიარა ელექტრონული ფორმით არსებული დარგობრივი მოდულების ფარგლებში არსებული ლიტერატურა, თუმცა დამატებით ბეჭდური სახით ინტეგრირებულის ფარგლებში არ ჰქონდათ დასრულებული სახელმძღვანელოების შეძენა. დაწესებულება გეგმავს საგანმანათლებლო რესურსის სრულყოფა/განვითარებას. შესაბამისად სკოლაში დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N 2-198 ბრძანებით (14.06.2024) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(2024 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით), დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების მოძიება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

6. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-186 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია სსსმ პირების წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია დაწესებულების მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სახის სერვისი, იქნება ეს სპეციალისტის მოწვევა, სკოლის ტერიტორიაზე გადაადგლების ხელშეწყობა, საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა და სხვა. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა და პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპზეა, აღნიშნული კომპონენტის პროცესუალური ნაწილი ამ ეტაპზე ვერ შეფასდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სასტუმრო მომსახურება“, სკოლამ შეიმუშავა საპროგნოზო ბიუჯეტი როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული მიდგომით განხორციელებისთვის. საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (15 პროფესიული სტუდენტი). ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებს და ხარჯებს. შემოსავალი ფარავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამის მდგრადია. პროგრამის რეალური ბიუჯეტი შედგება პროგრამის დასრულებიდან ერთი ციკლის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-186 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამების განხორციელების დებულება“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ✓ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 20 ივნისის N714411 წერილი;
- ✓ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის 2024 წლის 24 ივნისისN739114 წერილი

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისს N2-186 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარების და გაუქმების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით დაწესებულება პროგრამაში ცვლილებების განცორციელების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოიყენებს პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, პრაქტიკის ობიექტის არსებობის შემთხვევაში პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების, სკოლის წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, დაწესებულება რეგულარულად განახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. პროგრამის შეფასებისთვის სკოლაში შემუშავებულია შემდეგი სახის კითხვარები (დამტკიცებულია 14.06.2024 წ სკოლის დირექტორის N2-194 ბრძანებით): სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა, მოდულის და პროგრამის შეფასების კითხვარი, მასწავლებლების შეფასება სტუდენტის მიერ კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი, ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი. ასევე, სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-189 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლის შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია“.

სკოლის დირექტორის 2024 წლის 2024 წლის 14 ივნისის N2-190 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით მიმდინარეობს სკოლის საქმიანობის შეფასება, რაც მოიცავს ძირითად და დამხმარე პროცესებს, რესურსების უწყვეტ შეფასება/განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება კი ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წამყვანი შემადგენელი ნაწილია. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა და პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპზეა, პროგრამა ჯერ არ შეფასებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებისა და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის(პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები), პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, პროფესიის სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში), საკანონმდებლო ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამის ცვლილების საფუძველი შესაძლოა გახდეს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით განსაზღვრული ღონისძიებები, მათ შორის **მონაცემების შეგროვება** - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით (დარგში მიმდინარე ცვლილებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით, **მონაცემების დამუშავება** - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი, **გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება** - ანალიზის საფუძველზე პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ, **რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა** - პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა, **ცვლილებების განხორციელება** - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაცია შიდა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება სკოლის დირექტორსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან, რომელთაც დაადასტურეს, რომ პროგრამის ამოქმედებისა და დანერგვის შემდეგ, მზად არიან იზრუნონ რეგულაციებით გაწერილი ნორმების აღსრულებაზე. ექსპერტთა შეფასებიტ, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-186 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამების განხორციელების დებულება“;
- ✓ დირექტორის 14 ივნისის N2-194 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა, მოდულის და პროგრამის შეფასების კითხვარი, მასწავლებლების შეფასება სტუდენტის მიერ კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი, ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი;
- ✓ დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-189 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლის შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია“;
- ✓ დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-195 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“;
- ✓ დირექტორის 2024 წლის 2024 წლის 14 ივნისის N2-190 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ✓ ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას პროფესიული პროგრამის "სასტურმო მოსახურება" ფარგლებში შემუშავებული აქვს ინტეგრირებული სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. აღნიშული პროგრამის ფარგლებში მოდულებს დაშვების წინაპიროები არ აქვს, შესაბამისად მოდულების თანმიმდევრული განაწილება სასურველია მოხდეს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლოგიკური თანმიმდევრობით.

წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში, სასურველია მოდულების და მათ შორის სწავლის შედეგების განაწილება მოხდეს შემდეგნაირად: მაგ: მოდული"სასტუმრო პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა", იყოს წინმსწრები მოდული, სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფის, "სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფისა" და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ასევე, "სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფის" რადგან ეს სამი მოდული იმ განყოფილებების შესწავლას გულისხმობს რაც სასტუმროს ძირითადი მომსახურებებია, შესაბამისად სასურველია წინარე ცოდნა სასტუმროს შესახებ უკვე ქონდეს სტუდენტს, როგორიცაა სასტუმროს კატეგორიები, ნომრების ფონდი, ადამიანური რესურსი, სტრუქტურა და ა.შ, რაც მოდულით "სასტუმრო პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა" იფარება. ასევე, სასურველია სწავლის შედეგები, კვირეული დატვირთვით განაწილდეს კრებითად და არა ჩაშლილად, მაგ. პირველი სწავლის შედეგი არის 5 სთ და იმავე კვირაში მეორე სწავლის შედეგი 0.5 სთ. სასწავლო გეგმაში, ასევე 10-ე კვირაში გადაცდომაა კვირეული საათობრივი დატვირთვისა 40 სთ ნაცვლად არის 40.5 სთ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული მიგნებების ფარგლებში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სასწავლო გეგმით სწავლა დასრულდება 22 ივნისს. ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის #84/ნ ბრძანებით სწავლის დასრულების თარიღად განსაზღვრულია 15 ივნისი, ხოლო მე-12 კლასელებისთვის 20 მაისი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

<u>რეკომენდებულია, სასწავლო გეგმა აიგოს ლოგიკური თანმიმდევრობით მოდულების შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.</u>

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების დაცვისა და შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირებასაც ითვალისწინებს. პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტს სათანადო კონსულტირებას გაუწევს სკოლის ადმინისტრაცია პროგრამის განხორციელების თავისებურებების, სასწავლო გეგმის, მოდულების, შეფასების პროცედურების, მათ შორის განმეორებით შეფასების შესაძლებლობის, გასაჩივრების, შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების, ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომელთაც გამოხატეს სრული მზაობა სასწავლო პროცესის ხარისხიანად ორგანიზებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა და პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპზეა, აღნიშნული კომპონენტის პროცესუალური ნაწილი ამ ეტაპზე ვერ შეფასდა.
აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებითა და უშუალოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ ინდივიდუალური წვდომა საგანამანთლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე, მოდულის სპეციფიკის შესაბამისად, გათვალისწინებულია სწავლა- სწავლების თანამედროვე მეთოდები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვა დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება საჭიროების შემთხვევაში. ამისთვის დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში აღწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, რომლის თანახმადაც სამუშაო ჯგუფი განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულ(ებ)ს და ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული სტუდენტის სწავლება შეუძლებელია სტანდარტული სასწავლო გეგმით, მათ შორის პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას, პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარემო მობილობისას, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას, მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას, სსსმ და შშმ პირთა სწავლებისას. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპზეა, აღნიშნული კომპონენტის პროცესუალური ნაწილი ამ ეტაპზე ვერ შეფასდა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. არსებული მოცემულობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელდება სკოლის შენობა-ნაგებობაში იმიტირებულ სასწავლო გარემოში, სკოლას პარტნიორი ორგანიზაციასთან პროგრამის ფარგლებში არ ჰყავს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. დარგის სპეციფიკა არ საჭიროებს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებულ განსხვავებულ ნორმებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-186 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისისა N82 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამების განხორციელების დებულება“;
- ✓ დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-195 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ დირექტორის 2024 წლის 2024 წლის 14 ივნისის N2-190 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ✓ ინტერვიუს შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის მექანიზმსა და პროცედურას. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, როცა შეფასების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე. შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცედურა არის კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შესაფასებელი პირისათვის წინასწარ ცნობილია შეფასების შესახებ დეტალური მონაცემები, როგორიცაა შესაფასებელი კომპეტენციების სფეროები და ჩატარების დრო, დადასტურების პირობები, მოთხოვნები და სხვა. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა და პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპზეა, აღნიშნული კომპონენტის პროცესუალური ნაწილი ამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ეტაპზე ვერ შეფასდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. „სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულებაში გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანზიმი. აღნიშნული მექანიზმის თანახმად, დაწესებულება ახდენს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვ. ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები/ვერიფიკატორები განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით - ბრძანებით. დებულებაში გაწერილია ასევე რისკების სისტემა, რაც ეხმარება დაწესებულებს ვერიფიკაციის პროცესის მართვაში. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა და პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპზეა, აღნიშნული კომპონენტის პროცესუალური ნაწილი ამ ეტაპზე ვერ შეფასდა. აღნიშნულიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. „სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯაროს სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულებაში“ გაწერილია შეფასების მტკიცებულებების შენახვისა და მისი შემდგომი განადგურების მექანიზმი. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების უწყისი გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში ინახება დაწესებულებაში, ამის შემდგომ შესაძლებელია მოხდეს მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ან დარჩეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ან გადაეცეს ავტორს. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულება, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც იწარმოება/შეივსება ელექტრონული სახით. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა და პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპზეა, აღნიშნული კომპონენტის პროცესუალური ნაწილი ამ ეტაპზე ვერ შეფასდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. „სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯაროს სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულებაში“ გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგების მონიტორინგის პროცედურა. სასწავლო წლის დასრულებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განხორციელდება შეფასების შედეგების ანალიზი, რა დროსაც შეფასდება პირველ ჯერზე დადასტურებული სწავლის შედეგები, განმეორებითი შეფასების რაოდენობა, პროგრამის დასრულებისა და განთესვის მაჩვენებლები და სხვა გარემოებები. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება მოხდება პროგრამების განვითარებისათვის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა და პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპზეა, აღნიშნული კომპონენტის პროცესუალური ნაწილი ამ ეტაპზე ვერ შეფასდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-186 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამების განხორციელების დებულება“;
- ✓ დირექტორის 2024 წლის 2024 წლის 14 ივნისის N2-190 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ✓ ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

05.08.2024

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

----